

ცვლილებები საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში

კონსტანტინე კორკელია*

2002 წლის 12 თებერვალს მიღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალ-წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“. ცვლილებები ძალაში შევიდა 2002 წლის 5 მარტს.

ხსენებულ კანონებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანა მიზნად ისახავს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას. ეს საკანონმდებლო სიხსლენები ეხება როგორც პროცედურულ, ისე სასამართლოს იურისდიქციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ კანონებში მრავალი ცვლილება და დამატება შევიდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი:

1. აღმოფხვრა კანონმდებლობით გათვალისწინებული „უწყვეტობის“ პრინციპი, რომლის თანახმად საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება არ ჰქონდა, მიეღო მონაწილეობა სხვა საქმის განხილვაში გადადებული ან შეჩერებული საქმის განხილვის დასრულებამდე. ეს წესი უარყოფით გავლენას ახდენდა საქმეთა განხილვის ხანგრძლივობაზე. შეტანილი ცვლილებით, საქმის განხილვის მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება აქვს გადადებული ან შეჩერებული საქმის განხილვის დასრულებამდე მონაწილეობა მიიღოს სხვა საქმის განხილვაში.

2. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში ასევე შემოღებულ იქნა საქმეთა განხილვის ზოგადი და დიფერენცირებული ვადები. ამ დამატებით, მოსარჩელისათვის საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვიდან 10 დღის ვადაში ცნობილი გახდება, მიიღებს თუ არა სასამართლო მის სარჩელს არსებითად განსახილველად. ასევე განისაზღვრა 6-თვიანი ვადა, რომლის განმავლობაშიც საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელი ან წარდგინება უნდა გადაწყვიტოს.

3. გაფართოვდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია, რაც იმით გამოიხატა, რომ შემოღებულ იქნა ფორმალური კონსტიტუციური კონტროლის ინსტიტუტი. ამ დამატებით საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილი გახდა, შეამოწმოს არა მხოლოდ სამართლებრივი აქტის კონსტიტუციურობა მისი შინაარსის თვალსაზრისით, არამედ დაადგინოს, დაცულია თუ არა ასეთი აქტის მიღების კონსტიტუციით გათვალისწინებული პროცედურა.

4. გაიზარდა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლების მქონე სუბიექტთა წრე. საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავთან (ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები) დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება მიენიჭა ასევე იურიდიულ პირებს.

* GEPLAC-ის ექსპერტი სამართლებრივ საკითხებში.